



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

14 აპრილი 2025



N149784

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“-სთვის ფულადი ჯარიმის სახით
პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ**

შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“-ს მიერ (ს/ნ - 212917183, მისამართი: ქ. ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქ #2) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 8 აპრილს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „აუდიტორის დამატების ჩანართში სუბიექტმა უნდა მიუთითოს ანგარიშგებების, ხოლო ჯგუფის შემთხვევაში, ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორ(ებ)ის ან ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი, რის შედეგად ავტომატურად აისახება აუდიტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე. სდპ-ის, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის დამატების ჩანართში, სუბიექტმა უნდა მიუთითოს სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორ(ებ)ის/ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების და მესამე კატეგორიის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის დამატების ჩანართში,

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სუბიექტს შეუძლია მიუთითოს როგორც არასავალდებულო, ისე სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორ(ებ)ის/ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი". სუბიექტს აუდიტორის დამატების ჩანართში შესაბამისი მონაცემის გრაფა შევსებული არ აქვს.

სუბიექტმა სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი, რაც იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით;
2. სუბიექტს დაევალოს ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება (კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამავე კანონით დადგენილი წესით მომზადებული კონსოლიდირებული ანგარიშგება), ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. სუბიექტს დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში, შემდეგ სახაზინო კოდზე - 302003549;
4. ფულადი ჯარიმის ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება განხორციელდეს სამსახურის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;
5. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

